ხელშეკრულება №121

ქ. თბილისი **ნოემბერი 2019 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ-საქართველოს უზენაესი სასამართლო (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი ნოდარ გვადიბაძე და მეორე მხრივ **შპს "ოფის1" (შემდგომში - „მიმწოდებელი")** წარმომადგენელი მისი დირექტორის გიორგი მაღრაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საქართველოს უზენაესი სასამართლო შპს „ ოფის1" - სგან შეისყიდის ლამინირების აპარატს (**CPV42994230**).

2. შესასყიდი საქონლის და ფასი

2.1 ლამინირების აპარატი (**Comix, Co-F6801**) - 1 ცალი, ფასი 220.00 ლარი.

2.2. ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 220.00 (ორასოცი ლარი) ლარს.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონელი გადაეცემა „შემსყიდველს" ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე – ქ. თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. №70

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. საქონლის ღირებულებას „შემსყიდველი" იხდის საქართველოს ეროვნული ვალუტით, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორებით, „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. განგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არა უმეტეს 7 (შვიდი) კალენდარული დღე.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით „შემსყიდველ" ორგანიზაციაში გამოყოფილია კოორდინატორთა ჯგუფი – საფინანსო-სამეურნეო განყოფილების მთავარი კონსულტანტი დავით ოდიშვილი.

7.2. კოორდინატორის ფუნქციებია: შესყიდული საქონლის რაოდენობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, ხელშეკრულების პირობების თანახმად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. საგარანტიო ვადის გასვლამდე (საგარანტიო ვადა 1 წელი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) შესყიდული ლამიმირების აპარატის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში (იგულისხმება ქარხნული წუნი), შემსყიდველის მიერ მიყენებული ფიზიკური დაზიანების გარდა, „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს მის უფასო შეკეთებას ან შეცვლას ანალოგიური ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე მოდელით, თუ არსებული დაზიანება არ ექვემდებარება აღდგენას.

8.2. „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს „შემსყიდველს" სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მოწოდებულ საქონელზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება სრულად ეკისრება „მიმწოდებელს", საქართველოს კონონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 1.0%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელომწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 17 იანვრის ჩათვლით.

11.2. მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება, თუ რომელიმე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
საქართველოს უზენაესი სასამართლო
საიდენტიფიკაციო კოდი 203860508
ძმ. ზუბალაშვილების №6
ტელ. 299 09 62; 292 18 35.
ანგარიში:
სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022

„მიმწოდებელი"
შპს "ოფის1"
საიდენტიფიკაციო კოდი 204 964 039
ქ. თბილისი, ვ.ფშავლას გამზ. №70
ტელ. 599 390 390; 595 99 83 85
ანგარიში:
ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ანგ. №GE91 TB06 0000 0360 2036 67

ნოდარ გვადიბაძე

Nodari Gvadibadze
Digitally signed by Nodari Gvadibadze
Date: 2019.11.28 15:10:16 +04'00'

გიორგი მაღრაძე

მიხეილ ღვინიაშვილი
პასუხისმგებელი შემსრულებელი